407(077)
Დ-793

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის

პედაგოგიური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

დოლონაძე ნათელა რევაზის ასული

# უცხოური ენების სასწავლო-მეთოდიკური კომპლექსის (სმკ) შედგენისა და გამოყენების პრობლემა მოზრდილთა სწავლებაში (ინგლისური ენის მასალაზე)

13.00.02 - უცხოური ენების სწავლების მეთოდიკა

ავტორეფერატი

პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

შემოსულია № 64
„11" 05 1998 წ.

თბილისი - 1998

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის

პედაგოგიური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

დოლონაძე ნათელა რევაზის ასული

# უცხოური ენების სასწავლო-მეთოდიკური კომპლექსის (სმკ) შედგენისა და გამოყენების პრობლემა მოზრდილთა სწავლებაში (ინგლისური ენის მასალაზე)

13.00.02 - უცხოური ენების სწავლების მეთოდიკა

ავტორეფერატი

პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი - 1998

**ნაშრომი შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში**

**ექსპერტი**

ნათელა ვალერიანის ასული იმედაძე -
ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ოფიციალური ოპონენტები :**

შოთა იროდიონის ძე შატირიშვილი -
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მადონა დავითის ასული მეგრელიშვილი -
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მადონა დურმიშხანის ასული შელია -
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

**წამყვანი ორგანიზაცია:**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება ივნისს 1998 წ. 13^00 საათზე სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიურ უნივერსიტეტში პედაგოგიკურ მეცნიერებათა PD 13.00 C N 1 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (თბილისი, ჭავჭავაძის გამზ., 32)

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 30 აპრილს 1998 წ.

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი, პროფესორი ც.ლოლაძე

-1628-



სადისერტაციო კვლევის პრობლემის აქტუალობასა და მნიშვნელობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს :

– უცხოური ენების დაუფლების მნიშვნელობის გაზრდა მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით, ჩვენს ქვეყანაში ;

– მოზრდილთა სწავლება-გადამზადების როლის სისტემატური გაფართოება, განსაკუთრებით, უცხოურ ენებში ;

– მოზრდილთა უცხოური ენების სწავლებისთვის არა მარტო სახელმძღვანელოების, არამედ, თანამედროვეობის მოთხოვნების მიხედვით, სასწავლო-მეთოდიკური კომპლექსების (სმკ) შექმნის საჭიროება ;

– უცხოური ენის სწავლების სისტემაში სასწავლო-მეთოდიკური კომპლექსის, როგორც სწავლების მატერიალური საფუძვლის, მისი მიზნების, შინაარსის, პროგრამის, მეთოდების, სავარჯიშოთა სისტემის რეალიზაციის საშუალების, დიდი მნიშვნელობა ;

– მოზრდილთა სწავლებისთვის უცხოური ენების სასწავლო-მეთოდიკური კომპლექსის შედგენის პრობლემის არასაკმარისი შესწავლა და, ამის შედეგად, სწავლების არადამაკმაყოფილებელი დონე .

პირველი ორი ფაქტორის დასტურია, კერძოდ, 1994 წელს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნა, როგორიცაა გაეროს სპონსორობით არსებული International Literacy Institute (წიგნიერების საერთაშორისო ინსტიტუტი). მისი დანიშნულებაა მოზრდილთა შორის წიგნიერების (ფართო გაგებით) გავრცელება მსოფლიოში. მის საპროგრამო დოკუმენტებში უცხოური ენების დაუფლების პრობლემების გამოკვლევა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს მოზრდილთათვის უცხოური ენების სასწავლო-მეთოდიკური კომპლექსის შედგენისა და გამოყენების პრობლემა, მეთოდიკური კანონზომიერებების დადგენა და სათანადო ხერხებითა და საშუალებებით სწავლების ეფექტურობის გაზრდა. ჩვენს შრომაში იგი განხილულია ინგლისური ენის სმკ-ების მასალაზე.

კვლევის საგანია მოზრდილთათვის არსებული სმკ-ების დადებითი და ნაკლოვანი მხარეების დადგენა და მათი სრულყოფის გზების ძიება; მოზრდილთა სწავლების ასაკობრივი, ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური განვითარების თავისებურებების ჩვენება; მათი გათვალისწინებით სმკ-ის შედგენის თეორიული საფუძვლების, ორგანიზაციისა და სტრუქტურის შემუშავება, ანალიზი, დაზუსტება და სრულყოფა.

კვლევის მიზანი. მოზრდილთათვის უცხოური ენების სმკ-ის შედგენისა და გამოყენების ისეთი თეორიული საფუძვლებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც მნიშვნელოვნად გაზრდის სწავლების ეფექტურობას, უცხოური ენის დაუფლების კოეფიციენტს.

კვლევის ამოცანებია :